

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-52/ნ

2019 წლის 4 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ცალკეულ დევნილ ვეტერანთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2021 – 2022 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 მარტის №292 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის 1.11. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის ბრძანება №01-54/ნ - ვებგვერდი, 11.06.2021წ.

მუხლი 1

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერან იძულებით გადაადგილებულ პირთა/ოჯახთა განსახლების ორგანიზების მიზნით, დამტკიცდეს თანდართული:

1. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ცალკეულ დევნილ ვეტერანთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ (დანართი №1).
2. „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ (დანართი №2).
3. „სოციალური კრიტერიუმი“ (დანართი №3).
4. „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა“ (დანართი №4).
5. „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საჭიროების თაობაზე კითხვარის ფორმა“ (დანართი №5).
6. „დევნილ ვეტერანთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმა“ (დანართი №6).
7. „გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით“ (დანართი №7).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის ბრძანება №01-54/ნ - ვებგვერდი, 11.06.2021წ.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და
დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ცალკეულ დევნილ ვეტერანთა
საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დევნილ ვეტერანთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში – წესი) ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ და ადგენს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის „ლ“, „ნ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2021 – 2022 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 მარტის №292 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) შესაბამისად, ომის ვეტერან დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების წესს.

2. ამ წესის შესაბამისად არ განიხილება იმ ომის ვეტერან დევნილთა ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის ბრძანება №01-54/6 - ვებგვერდი, 11.06.2021წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

წინამდებარე წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ომის ვეტერანის ოჯახი** – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი), რომელიც, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით ან ერთჯერადი ფულადი დახმარებით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში; ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ომისა და თავდაცვის

ძალების ვეტერანების დევნილი ოჯახები; საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი დევნილი პირების ოჯახები, საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი არადევნილი პირების დევნილი ოჯახები; იმ ვეტერანების დევნილი ოჯახები, რომლებსაც საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული დაზიანებების შედეგად მიენიჭათ მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (I,II ან III ჯგუფი);

ბ) **კრიტერიუმები** – ამ ბრძანებით დამტკიცებული „საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი“ – დანართი №2 და „სოციალური კრიტერიუმი“ – დანართი №3;

გ) **დეპარტამენტი** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020წ.

მუხლი 3. საცხოვრებელი ფართის მიღების პროცედურა

1. ომის ვეტერან დევნილთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-8 პუნქტით შექმნილი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია (შემდგომში – კომისია).

2. კომისია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ანაწილებს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად სააგენტოსათვის გადმოცემულ ან სააგენტოს მიერ შესყიდულ/რეაბილიტირებულ საცხოვრებელ ფართებს და არსებული რესურსის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იმ დევნილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთდებათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებები.

3. დევნილი ოჯახების კონტინგენტის განსაზღვრის შემდეგ სააგენტო, მისი ტერიტორიული სამმართველოების ჩართულობით, ახდენს ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში მაცხოვრებელ დევნილთა ინფორმირებას გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართების, ასევე საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების მიღების მკაცრად რეგლამენტირებული ვადების შესახებ. ამასთან, დევნილებს უნდა მიეცეთ ვადა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების წარსადგენად (გადაწყვეტილების მისაღებად მოსაფიქრებელი დრო, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, განაცხადზე დასართავი დოკუმენტების მოწესრიგება და სხვ). მიღებული განაცხადების საფუძველზე, კომისია ადგენს წინასწარ განსაზღვრული კატეგორიის დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების წინასწარი შეფასების, მინიჭებული ქულების გადამოწმებისა და კომისიის მიერ განხილვის ვადებს, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

4. ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების და ბრძანებით დამტკიცებული „გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით“ (№7 დანართის) (შემდგომში – საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები) შესაბამისად, დეპარტამენტი და მონიტორინგის დეპარტამენტი ახდენენ განაცხადების დამუშავებას ამ მუხლის მე-5-მე-8 პუნქტებით დადგენილი პროცედურით. მონიტორინგის დეპარტამენტი დამუშავებულ მასალას წარუდგენს კომისიას საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

5. დეპარტამენტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადების დამუშავება გულისხმობს შემდეგს:

ა) დეპარტამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლები ახდენენ გასანაწილებელი ფართების დაკავების მსურველთა განაცხადების მიღებას ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კონტინგენტიდან. განაცხადის შევსება ხდება განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლების მიერ, რასაც ხელმოწერით ადასტურებ(ენ)ს როგორც აღნიშნული თანამშრომელი/თანამშრომლები, ისე დევნილი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი ან ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მასზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ოჯახის სრულწლოვანი წევრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის დევნილი ოჯახის

მიერ ივსება ამ ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №4) – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა“ და ამ ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №5) – „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე კითხვარის ფორმა“, რომლებსაც უნდა ერთოდეს მასში მოცემული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ) დეპარტამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლები ახდენენ საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შევსებული კითხვარის, ასევე მოპოვებული მონაცემების საფუძველზე თითოეული დევნილი ოჯახის მდგომარეობის შეფასებას კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების მეშვეობით, რის საფუძველზეც აღნიშნული სამმართველოს შესაბამისი თანამშრომელი ან/და, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლები აფასებს, ავსებს და ხელმოწერით ადასტურებს სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ განაცხადის შეფასების ფორმას. თითოეული დევნილი ოჯახის მიერ შევსებული განაცხადი, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან და შესაბამის შეფასების ფორმასთან ერთად, ინახება ამ დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის თაობაზე პირადი საქმის სახით. თუ აღნიშნული სამმართველოს ან/და სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის სხვა თანამშრომელი/თანამშრომლების მიერ განაცხადების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ დევნილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის არსებითად მცდარი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეფასებაზე, განაცხადი რჩება განუხილველი, რის თაობაზეც დევნილ ოჯახს ეცნობება დეპარტამენტის უფროსის ან დეპარტამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს უფროსის დასაბუთებული წერილობითი აქტის მეშვეობით;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინასწარი შეფასების დასრულების შემდგომ დეპარტამენტი, წინასწარი შედეგების ვებგვერდზე (www.moh.gov.ge; www.idp.gov.ge;) გამოქვეყნების მიზნით, წინასწარი შეფასების შედეგებს გადასცემს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. წინასწარი შედეგების გამოქვეყნებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, დევნილ ოჯახებს უფლება აქვთ სააგენტოში დამატებით წარმოადგინონ ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათთვის მინიჭებულ ქულებზე, საცხოვრებელ მისამართზე, ოჯახის შემადგენლობაზე და/ან გადასაცემ საცხოვრებელ ფართზე;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ, დეპარტამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველო, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ახდენს მინიჭებული ქულების კორექტირებას. მინიჭებული ქულების კორექტირების შემდეგ, განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს უფროსი სამსახურებრივი ბარათით დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს ინფორმაციას განაცხადების შეფასების შედეგების თაობაზე;

ე) ამ პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ დეპარტამენტი კომისიას წარუდგენს განაცხადებს, სრული ინფორმაციითა და დოკუმენტაციით. კომისია, დეპარტამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს შეფასებაზე დაყრდნობითა და კონკრეტულ ობიექტზე არსებული ბინების რაოდენობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს განაცხადების რაოდენობას, რომელთა გადამოწმება უნდა განხორციელოს მონიტორინგის დეპარტამენტმა;

ვ) მონიტორინგის დეპარტამენტი ახდენს ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაცემული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შევსებული კითხვარის მიხედვით მინიჭებული ქულების გადამოწმებას, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების ადგილზე შესწავლასა და „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმის (დანართი №6) (შემდგომში – მონიტორინგის ფორმა) შედგენას, რომელსაც ხელს აწერენ ამ დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომელ(ებ)ი და დევნილი ოჯახის სრულწლოვანი წევრები. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გადამოწმების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შევსებულ კითხვარში წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის არსებითად მცდარი ან/და დევნილი ოჯახის მიერ მონიტორინგის დროს წარდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მინიჭებულ ქულებზე, საცხოვრებელ მისამართზე, ოჯახის შემადგენლობაზე და/ან გადასაცემ საცხოვრებელ ფართზე, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია წარედგინება კომისიას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

6. სააგენტოს ტერიტორიული სამმართველოები ეხმარებიან დეპარტამენტსა და მონიტორინგის დეპარტამენტს განაცხადების მიღებაში, დამუშავებასა და მონაცემების მოძიება-გადამოწმებაში. ტერიტორიული სამმართველოების მიერ განაცხადების მიღებისა და მასზე თანდართული კითხვარის შევსების, ასევე მონაცემების მოძიება-გადამოწმების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადსა და მონიტორინგის ფორმას სააგენტოს მხრიდან ხელს აწერს შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოს თანამშრომელი/თანამშრომლები, რომლებიც განისაზღვრებიან სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე დამუშავებული განაცხადები, თანდართული დოკუმენტაციით, ამავე პუნქტებში მოცემული პროცედურების განხორციელების შემდგომ, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ სამმართველოებს შორის გადაიცემა მიღება-ჩაბარების აქტით.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამუშავებული მასალები, დეპარტამენტის უფროსის, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ასევე შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ხელმოწერილ რეესტრთან (რეესტრში ასახული უნდა იყოს საცხოვრებელი ფართის მიღების მსურველთა საიდენტიფიკაციო მონაცემები, მინიჭებული ქულები და მოკლე ინფორმაცია ოჯახის შესახებ) ერთად გადაეცემა კომისიას, რომელიც კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კონკრეტული დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

9. კომისიის მიერ არ განიხილება და დამატებითი მასალის მოძიების დავალებით დეპარტამენტს და/ან მონიტორინგის დეპარტამენტს უბრუნდება საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კონკრეტული განაცხადი, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების დარღვევით წარმოდგენის შემთხვევაში.

10. შესაბამისი გადაწყვეტილება საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება კომისიის მიერ და ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით, რომელიც, ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდგომ წარედგინება სააგენტოს დირექტორს.

11. დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადები დაკმაყოფილდა ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, კონკრეტული საცხოვრებელი ფართები სადარბაზოებისა და სართულების მიხედვით გაუნაწილდებათ, დეპარტამენტის ან შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოს მიერ ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა) ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, დეპარტამენტის ან შესაბამისი ტერიტორიული სამმართველოს მიერ, შესაძლებელია საცხოვრებელი ფართი დევნილ ოჯახს გადაეცეს კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, დევნილი ოჯახი ვალდებულია განაცხადოს წერილობითი თანხმობა, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების

ფარგლებში, სააგენტოს მიერ შეთავაზებული კონკრეტული საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე.

13. თუ დევნილი ოჯახი, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრისას ან მის შემდგომ, განაცხადებს უარს, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტებით გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე ან ხელს არ მოაწერს ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ თანხმობას, დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს დევნილი ოჯახი და/ან სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ასეთი დევნილი ოჯახის განაცხადი, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტების ფარგლებში, არ განიხილება შემდგომი 3 (სამი) წლის მანძილზე.

14. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის გადაწყვეტილებისა და მე-12 პუნქტის გათვალისწინებული დევნილი ოჯახის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გასანაწილებელი ფართების დაკავების მსურველთა განაცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გამოიცემა სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩივრდება სასამართლოში. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, დევნილ ოჯახს დეპარტამენტის მიერ ეცნობება წერილობით.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადის დაკმაყოფილების თაობაზე გამოცემული სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს განმცხადებლისა და მისი ოჯახის წევრების, კანონმდებლობის შესაბამისად, კონკრეტულ გასანაწილებელ საცხოვრებელ ფართ(ებ)ში განსახლების საფუძველს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ფართის კონკრეტულ მისამართს.

16. ამ მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია დეპარტამენტის მიერ 1 თვის ვადაში აისახება დევნილთა მონაცემთა ბაზაში.

17. დევნილი ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადები არ დაკმაყოფილდა, სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოსათვის გადმოცემული ან სააგენტოს მიერ შესყიდული/რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართების არსებული რესურსის ფარგლებში ავსებენ მხოლოდ ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი №4-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ ფორმას. ამ შემთხვევაში, დევნილი ოჯახის ან სააგენტოს ინიციატივით შესაძლებელია დაზუსტდეს/გადაამოწმდეს დევნილი ოჯახის მიერ შევსებული ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით

დამტკიცებული დანართი №5-ის „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე კითხვარის ფორმაში“ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასეთი საჭიროების შემთხვევაში. იმავე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოსათვის გადმოცემული ან სააგენტოს მიერ შესყიდული/რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართების არსებული რესურსის ფარგლებში ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი №4-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის“ ფორმის შევსება სავალდებულო არ არის.

18. ამ წესის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დევნილი ოჯახისათვის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართის) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა განხორციელდება ამ უძრავი ქონების 3 წლის განმავლობაში გასხვისების უფლების შეზღუდვის პირობით.

19. ამ წესით გათვალისწინებული გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში განიხილება მხოლოდ იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომელთა ოჯახის წევრთა ნახევარს მაინც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მინიჭებული აქვს იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოჯახის არადევნილი წევრები არიან მეუღლე, შვილი და გერი.

20. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებები არ განხორციელდება იმ დევნილი ოჯახების მიმართ, რომლებიც არამართლზომიერად/თვითნებურად იკავებენ დევნილთა იმ ყოფილ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართს, რომლიდანაც კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდა დევნილთა გამოყვანისა და განსახლების ღონისძიებები. ასეთი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი განიხილება ამგვარად დაკავებული საცხოვრებელი ფართების გამოთავისუფლების შემდგომ.

21. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის საფუძველზე, დევნილი ოჯახებზე, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადი დაკმაყოფილდა და მოცემულ ეტაპზე არ არის საკმარისი გასანაწილებელი შესაბამისი საცხოვრებელი ფართი, სააგენტო გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას.

22. ამ მუხლის მე-21 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაპირების თანახმად, შესაბამისი საბინაო რესურსის შექმნამდე, დევნილი ოჯახი უფლებამოსილია წარადგინოს ექსპლუატაციაში მიღებული მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ინდივიდუალურ უძრავ ქონებად რეგისტრირებული ფართი (ბინა), რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუსყიდის სააგენტო. სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება:

ა) არაუმეტეს 550 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი ერთ კვადრატულ მეტრზე – ქ. თბილისში;

ბ) არაუმეტეს 470 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი ერთ კვადრატულ მეტრზე – სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში.

23. ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო, დევნილი ოჯახისათვის უძრავი ქონების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესყიდვის ფარგლებში, არ მიიღებს მონაწილეობას იმგვარ გარიგებაში, რომელშიც შესასყიდი უძრავი ქონება, ამ შესყიდვის განხორციელებამდე არის მყიდველი ოჯახის ახლო ნათესავ(ებ)ის (დედა, მამა, და, ძმა, მეუღლე, შვილი) საკუთრებაში.

24. ამ მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე დევნილი ოჯახის მიერ საცხოვრებელი ფართის წარმოდგენამდე, შესაბამისი საბინაო რესურსის წარმოშობის შემთხვევაში, სააგენტო დევნილ ოჯახს შესთავაზებს საცხოვრებელ ფართს. დევნილი ოჯახის მიერ ამ საცხოვრებელ ფართზე უარის განცხადების შემთხვევაში ამ მუხლის მე-21 პუნქტის საფუძველზე გაცემული ადმინისტრაციული დაპირება ძალადაკარგულია.

25. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში შესასყიდად წარმოდგენილი ინდივიდუალური უძრავი ქონება (ბინა) სააგენტოს მიერ შესაძლებელია შესყიდულ იქნეს ამ მრავალბინიანი სახლის ექსპლუატაციაში მიღებამდე, იმ შემთხვევაში თუ სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდება, რომ მასში შექმნილია უსაფრთხო, სათანადო საცხოვრებელი პირობები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის ბრძანება №01-54/ნ - ვებგვერდი, 11.06.2021წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 იანვრის ბრძანება №01-3/ნ- ვებგვერდი, 20.01.2022წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 24 მარტის ბრძანება №01-25/ნ - ვებგვერდი, 25.03.2022წ.

დანართი №2

№	საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმი	ქულა
ა	<p>ა.ა) დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტში), რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და:</p> <p>ა.ა.ბ) მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას;</p> <p>ა.ა.გ) მესაკუთრემ განახორციელა დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებული პროცედურა.</p> <p>ა.ბ) დევნილი ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში გააჩნდა საცხოვრებელი სახლი/ბინა და იპოთეკური სესხის გადაუხდელობის გამო დაკარგა აღნიშნული საკუთრება და:</p> <p>ა.ბ.ა) მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან საცხოვრებელი სახლის/ბინის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას;</p> <p>ა.ბ.ბ) მესაკუთრემ განახორციელა დევნილთაგან საცხოვრებელი სახლის/ბინის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებული პროცედურა.</p>	3 1,5
ბ	საცხოვრებელი პირობები არის განსაკუთრებით მძიმე და რადიკალურად არ შეესაბამება მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს (დევნილი ოჯახი ცხოვრობს ავტოფარეხში, შენობის კიბის უჯრედში, საყარაულო ჯიხურში, თვითნაკეთებ ხის/ფიცრულ შენობაში, მიწურში, სარდაფში ან იმ ტიპის შენობაში, რომლის რეაბილიტაცია და სათანადო საცხოვრებელ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა შეუძლებელია).	2
გ	დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტში), რომელიც სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მნიშვნელოვან ობიექტს. აღნიშნული ინტერესი ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული მუნიციპალიტეტის (თუ ისინი არიან მესაკუთრეები) ან სხვა საჯარო უწყების მიერ, რომელიც ფლობს აღნიშნულ შენობას.	3
დ	დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს სხვის სახლში (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისა) ქირით ან ქირის გარეშე.	1,5

შენიშვნა 1: ამ დანართის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქულა არ მიენიჭება დევნილ ოჯახს იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეთანხმება მესაკუთრის სასარჩელო მოთხოვნას გამოსახლების თაობაზე.

შენიშვნა 2: იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახი აკმაყოფილებს ამ დანართის „დ“ ქვეპუნქტს, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი პირის საცხოვრებელი ფართის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკომლო ჩანაწერი ან სხვა შესაბამისი უფლებადამდგენი დოკუმენტი).

შენიშვნა 3: ამ დანართის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქულა არ მიენიჭება იმ დევნილ ოჯახს, რომელსაც სააგენტო, „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის შესაბამისად უხდის ქირის თანხას.

შენიშვნა 4: ამ დანართის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქულა დევნილ ოჯახს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ კომისიის მიერ, მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი პირობების ადგილზე შესწავლის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციისა და ფოტომასალის წარდგენის საფუძველზე ან დეპარტამენტის განაცხადების მიღებისა და წინასწარი შეფასების სამმართველოს მიერ, იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადს თან ერთვის და/ან სააგენტოში არსებობს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა (სსიპ – ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტირებული საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნა).

შენიშვნა №4 (ამოღებულია - 30.01.2020, №01-16/ნ)

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 31.01.2020წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის ბრძანება №01-54/ნ - ვებგვერდი, 11.06.2021წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 იანვრის ბრძანება №01-3/ნ- ვებგვერდი, 20.01.2022წ.

დანართი №3

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 იანვრის ბრძანება №01-3/ნ- ვებგვერდი, 20.01.2022წ.

№	სოციალური კრიტერიუმი	ქულა
---	----------------------	------

ა	<p>თუ ოჯახი დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში:</p> <p>ა) 30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით – 3 ქულა</p> <p>ბ) 30001-57001 შორის სარეიტინგო ქულით – 2,5 ქულა</p> <p>გ) 57001-60001 შორის სარეიტინგო ქულით – 2 ქულა</p> <p>დ) 60001-65001 შორის სარეიტინგო ქულით – 1,5 ქულა</p> <p>ე) 100001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით – 1 ქულა</p>	1-3
ბ	<p>ოჯახში არის 2 და მეტი 18 წლამდე ასაკის ოჯახის წევრი. 2 არასრულწლოვანზე ერთი ქულა, 3 არასრულწლოვანზე 2 ქულა, 4 არასრულწლოვანზე 3 ქულა, 5 არასრულწლოვანზე 4 ქულა, ყოველ მომდევნოზე 0,5 ქულა</p>	შესაბამისი ქულათა ჯამი
გ	<p>ოჯახის წევრი არის ონკოლოგიური ავადმყოფი (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამედიცინო დასკვნით – ფორმა №50/2)</p>	1
დ	<p>ოჯახის წევრ(ებ)ი არიან მკვეთრად (3 ქულა), მნიშვნელოვნად (2 ქულა) ან ზომიერადგამოხატული შესაძლებლობის (1 ქულა) შეზღუდვის მქონე პირები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვ(ებ)ი (3 ქულა) (ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა, რაც</p> <p>ხასიათდება თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით), რაც დასტურდება შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტით (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი) (თითოეული ამ სტატუსის მქონე ოჯახის წევრზე ენიჭება შესაბამისი ქულა).</p>	შესაბამისი ქულათა ჯამი
ე	<p>მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს არასრულწლოვან შვილზე ან შვილებზე.</p>	1,5
ვ	<p>„ხანდაზმული, რომელიც არის არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ან/და შვილიშვილ(ებ)ის მზრუნველი“, რომელიც ახორციელებს პრაქტიკულად ბავშვის მოვლას (იღებს გადაწყვეტილებებს ბავშვის კვების, ჩაცმის, განათლების და ა.შ. შესახებ ყოველდღიურად და ახორციელებს მზრუნველობას, სულ მცირე დღის უმეტეს დროს). ფლობს ბავშვის (მისი ჯანმრთელობის, კვების, განვითარების, განათლების და ა.შ.) შესახებ</p>	1

	ყველაზე მეტ ინფორმაციას.	
ზ	პენსიონერი, რომელიც ცხოვრობს მარტო ან ოჯახი, რომელის წევრთა ნახევარზე მეტი არის პენსიონერი	1
თ	<p>ოჯახი, რომლის წევრ(ებ)ი გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში (თითოეულ გარდაცვლილ ოჯახის წევრზე 10 ქულა)</p> <p>ოჯახს, რომლის გარდაცვლილ წევრს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდო, დამატებით ენიჭება:</p> <p>ა) ეროვნული გმირის ორდენზე – 3 ქულა;</p> <p>ბ) წმინდა გიორგის სახელ ობის გამარჯვების ორდენზე, დავით აღმაშენებლის ორდენზე, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2 ქულა;</p> <p>გ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე, მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“, მედალზე „საბრძოლო დამსახურებისათვის“ – 1,5 ქულა;</p>	შესაბამისი ქულათა ჯამი
ი	ოჯახი, რომლის წევრ(ებ)ი გარდაიცვალა ან სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ან/და გამოაცხადა გარდაცვლილებად საქართველოში არსებული კონფლიქტების შედეგად (თითოეულ გარდაცვლილ ოჯახის წევრზე 1.5 ქულა)	შესაბამისი ქულათა ჯამი
კ	<p>ოჯახი, რომლის წევრ(ებ)ი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ომის ვეტერანი/ვეტერანები (თითოეული ომის მონაწილეზე 1.5 ქულა).</p> <p>ომის ვეტერანს, ვისაც ომის ვეტერანობიდან გამომდინარე მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდო, დამატებით ენიჭება:</p> <p>ა) ეროვნული გმირის ორდენზე – 3 ქულა;</p> <p>ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე, დავით აღმაშენებლის ორდენზე, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2 ქულა;</p> <p>გ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე, მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“, მედალზე</p>	შესაბამისი ქულათა ჯამი

	„საბრძოლო დამსახურებისათვის“ – 1,5 ქულა;	
ლ	<p>ოჯახს, რომლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი წევრი გარდაიცვალა და მის მეუღლეზე და/ან არასრულწლოვან შვილ(ებ)ზე გაცემულია მარჩენალდაკარგულის მოწმობა (წარმოდგენილი უნდა იყოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა) – 1,5 ქულა</p> <p>ოჯახს, რომლის გარდაცვლილ ვეტერან წევრს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდო, დამატებით ენიჭება:</p> <p>ა) ეროვნული გმირის ორდენზე – 3 ქულა;</p> <p>ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე, დავით აღმაშენებლის ორდენზე, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2 ქულა;</p> <p>გ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე, მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“, მედალზე „საბრძოლო დამსახურებისათვის“ – 1,5 ქულა.</p>	1,5
მ	<p>ოჯახი, რომლის წევრ(ებ)ი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი/ვეტერანები, რომელთაც საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული დაზიანებების შედეგად მიენიჭათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი:</p> <p>მკვეთრად გამოხატული შშმ სტატუსის შემთხვევაში – 6 ქულა,</p> <p>მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის შემთხვევაში – 4 ქულა,</p> <p>ზომიერად გამოხატული შშმ სტატუსის შემთხვევაში – 2 ქულა.</p>	შესაბამისი ქულათა ჯამი
ნ	<p>ოჯახი, რომლის წევრმა ომის შემდგომ გააგრძელა მუშაობა საქართველოს თავდაცვის ძალებში და გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.</p>	10 ქულა

ო	<p>ოჯახს, რომლის შემადგენლობაშიც არის 1994 წლის 1 იანვრამდე დაბადებული დევნილის სტატუსის მქონე პირი – 1,5, ყოველ დამატებით წევრზე – 0,5 ქულა</p> <p>2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ ოჯახს, რომლის შემადგენლობაშიც არის 2009 წლის 1 იანვრამდე დაბადებული დევნილის სტატუსის მქონე პირი – 1,5, ყოველ დამატებით წევრზე – 0,5 ქულა</p>	შესაბამისი ქულათა ჯამი
---	---	------------------------

შენიშვნა 1: იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთობლივად აკმაყოფილებს ამ დანართის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ რამდენიმე კრიტერიუმს, მაშინ მას ქულა ენიჭება იმ კრიტერიუმით, რომელიც ითვალისწინებს უფრო მაღალ ქულას.

შენიშვნა 2: „სოციალური კრიტერიუმის“ „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქულა დევნილ ოჯახს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ მითითებული საცხოვრებელი ადგილი ერთი და იგივეა.

საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადი

განაცხადის ნომერი		თარიღი		
1. ინფორმაცია განმცხადებელზე				
სახელი, გვარი:		პირადი ნომერი	დევნილის რეგისტრაციის ნომერი:	
2. განმცხადებლის ოჯახის შემადგენლობა				
N	სახელი	გვარი	განმცხადებლის მიმართ დამოკიდებულება (მეუღლე, შვილი, მშობელი, და/მმა, შვილიშვილი, რძალი/სიძე და ა.შ.)	პირადი ნომერი
3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია				
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სოფელი, ქუჩა, ბინა)			ტელეფონის ნომერი	

საცხოვრებელი სახლის (სახლი/ ბინა) მდებარეობა (თვითმმართველი ქალაქი/რეგიონი/მუნიციპალიტეტი/სოფელი):

ჩვენ ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ განმცხადებელი წარმოადგენს ჩვენი ოჯახის ყველა წევრის ინტერესებს და სააგენტოს თანამშრომლების მიერ, დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე კითხვარის ფორმის (დანართი №5) – შევსების დროს ვაძლევთ უფლებამოსილებას, უპასუხოს კითხვებს.

ამ განაცხადზე ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას, რომ:

- სააგენტომ მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია, ჩვენი ოჯახის, ამ ბრძანების შესაბამისად მინიჭებული ქულების და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე.

- ამ განაცხადის საფუძველზე, ჩვენი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შემთხვევაში, სახელმწიფოს ეხსნება ჩვენი ოჯახის წევრების პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე.

- სააგენტოს უფლება აქვს („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად) და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით) საჭიროების მიხედვით გადაამოწმოს რესპონდენტის მიერ კითხვარის შევსების დროს მოწოდებული ოჯახის წევრების პერსონალური და სხვა ინფორმაცია ნებისმიერი შესაძლო წყაროდან (დევნილი ოჯახის საცხოვრებელი პირობების ადგილზე შესწავლა ნებისმიერ დროს, სხვადასხვა უწყებებიდან და დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვა და სხვა), რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

(შენიშვნა: სააგენტო იტოვებს უფლებას, ანკეტაში მცდარი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ბათილად ცნოს მიღებული გადაწყვეტილება).

განმცხადებლის ხელმოწერა: _____

ოჯახის წევრების ხელმოწერა: _____

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საჭიროების თაობაზე კითხვარი

კითხვარის შევსების მიზანია შესწავლილ იქნეს თქვენი ოჯახის მდგომარეობა, რათა თქვენი სურვილისამებრ, თქვენს მიერ შერჩეულ მუნიციპალიტეტში/ქალაქში მოხდეს თქვენი ოჯახისთვის გრძელვადიანი განსახლების შეთავაზება.

დასმულ კითხვებზე თქვენი გულწრფელი პასუხები დაგვხმარება მიუკერძოებლად და სამართლიანად მოვახდინოთ თქვენი მდგომარეობის შეფასება ამ ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და იგი გამოყენებულ იქნება მხოლოდ გადაწყვეტილებების მისაღებად.

კითხვარი ეხება ოჯახს. ოჯახად მოიაზრება განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახის წევრად ითვლება ასევე 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც დროებით ცხოვრობს ოჯახს გარეთ (ბავშვთა სახლში, მეორე მშობელთან, ნათესავთან და ა.შ.)

წინასწარ გიხდით მადლობას!

განსახლების ადგილად ვირჩევ: საქართველო -----, თბილისი -----

ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ

რესპოდენტი შეიძლება იყოს როგორც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ოჯახის წევრი, ისე ოჯახის ნებისმიერი სრულწლოვანი წევრი, რომელიც ფლობს ინფორმაციას ოჯახის შესახებ და ოჯახის კოლექტიურ განცხადებაში წევრების მიერ არჩეულია, როგორც ოჯახის წარმომადგენელი

რესპონდენტის სახელი, გვარი:	ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი (ქალაქი, სოფელი, ქუჩა, კორპუსი, ბინა)	ტელეფონი:

განმცხადებლის ხელმოწერა: -----

მოდული A - ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ

A1.1 ოჯახის შემადგენლობა

№	სახელი, გვარი	პირადი №	სქესი	ასაკი	მიმართება ოჯახის წარმომადგენელთან:	ოჯახური მდგომარეობა	დევნილის სტატუსი

ოჯახში არასრულწლოვანთა რაოდენობა:

A1.2 ოჯახის შემადგენლობა

№	სახელი, გვარი	პირადი №	შშმპ (კატეგორია) მძიმედ დაავადებული	მარჩენალდაკარგული მშობელი/ქვირივი ხანდაზმული მეურვე

A2. ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში

№	სახელი, გვარი	ომის მონაწილე (მოწმობის №)	ომის დროს დაინვალიდებული (მოწმობის №)	ომში დაღუპულთა ოჯახის წევრი (ბრძოლაში დაღუპული)	ომში დაღუპულთა ოჯახის წევრი (უგზოუკვლოდ/კონფლიქტის შედეგად დაღუპული)	ომის შემდგომ საქართველოს თავდაცვის ძალებში მუშაობის დროს გარდაცვალება (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს)	ჯილდოები

განმცხადებლის ხელმოწერა: -----

მოდული C - საცხოვრებელი

C1. რა არის ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებლის სტატუსი? (შემოხაზეთ)	<input type="checkbox"/> ნაქირავეები	ქირის ოდენობა
	<input type="checkbox"/> ნაგირავეები	გირავნობის თანხა
	<input type="checkbox"/> ნათხოვარი	დროის ხანგრძლივობა
	<input type="checkbox"/> ცხოვრობს ნათესავის/ახლობლის ბინაში ქირის გარეშე	
	<input type="checkbox"/> ცხოვრობს ნათესავის/ახლობლის ოჯახთან ერთად	
	<input type="checkbox"/> მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართი	
	<input type="checkbox"/> მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართი (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი)	
	<input type="checkbox"/> არის ოჯახის საკუთრებაში	საბაზრო ფასი
<input type="checkbox"/> სხვა (მიუთითეთ)		

მოდული B - ინფორმაცია ოჯახის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ

B1. ოჯახის უძრავი და მოძრავი ქონება	
B1.1. არის თუ არა ოჯახი რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
B1.2 რამდენია ოჯახის სარეიტინგო ქულა?	<input type="checkbox"/> 30001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით <input type="checkbox"/> 30001- 57001 შორის სარეიტინგო ქულით <input type="checkbox"/> 57001 - 60001 შორის სარეიტინგო ქულით <input type="checkbox"/> 60001 - 65001 შორის სარეიტინგო ქულით <input type="checkbox"/> 65001 - 100001 შორის სარეიტინგო ქულით <input type="checkbox"/> არ არის სოციალურ პროგრამაში

მოდული D - საცხოვრებლის მდგომარეობა და ცხოვრების პირობები

D1. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებლის მეპატრონე ითხოვს დევნილის გამოსახლებას, რომელ ორგანოში მიმდინარეობს საქმის წარმოება (შემოხაზეთ)	
<input type="checkbox"/>	სასამართლო
<input type="checkbox"/>	შინაგან საქმეთა სამინისტრო
<input type="checkbox"/>	სააგენტო
<input type="checkbox"/>	აღსრულების ეროვნული ბიურო
<input type="checkbox"/>	სხვა

D2. გამოსახლება / მნიშვნელოვანი ობიექტი	
<input type="checkbox"/>	ა.ა) დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტში), რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და: ა.ა.ბ) მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას; ა.ა.გ) მესაკუთრემ განახორციელა დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებული პროცედურა.
<input type="checkbox"/>	ა.ბ) დევნილი ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში გააჩნდა საცხოვრებელი სახლი/ზინა და იპოთეკური სესხის გადაუხდელობის გამო დაკარგა აღნიშნული საკუთრება და: ა.ბ.ა) მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან საცხოვრებელი სახლის/ზინის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას; ა.ბ.ბ) მესაკუთრემ განახორციელა დევნილთაგან საცხოვრებელი სახლის/ზინის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებული პროცედურა.
<input type="checkbox"/>	საცხოვრებელი პირობები არის განსაკუთრებით მძიმე და რადიკალურად არ შეესაბამება მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს (დევნილი ოჯახი ცხოვრობს ავტოფარეხში, შენობის კიბის უჯრედში, საყარაულო ჯიხურში, თვითნაკეთებ ხის/ფიცრულ შენობაში, მიწურში, სარდაფში ან მსგავსი ტიპის იმ არასაცხოვრებელ ფართში, რომლის საცხოვრებელ ფართად გარდაქმნა შეუძლებელია).
<input type="checkbox"/>	დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართში (დევნილთა ყოფილ კომპაქტურად განსახლების ობიექტში), რომელიც სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მნიშვნელოვან ობიექტს. აღნიშნული ინტერესი ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული მუნიციპალიტეტის (თუ ისინი არიან მესაკუთრეები) ან სხვა საჯარო უწყების მიერ, რომელიც ფლობს აღნიშნულ შენობას.
<input type="checkbox"/>	გარდა აღნიშნული კრიტერიუმებით შეფასებისა ქ. თბილისში 2013 წლის 1 ივნისამდე რეგისტრირებულ დევნილ ოჯახს ასევე ენიჭება დამატებით 2,5 ქულა, თუ იგი შეავსებს „გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადს“ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულ(ებ)ში არსებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტ(ებ)ის ფარგლებში. ასევე 2,5 ქულა ენიჭება იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც შეავსებენ „საცხოვრებელი ფართის სახლი/ზინა შესყიდვის თაობაზე განაცხადს“.

ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია (შენიშვნა: სააგენტო იტოვებს უფლებას, ანკეტაში მცდარი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ბათილად ცნოს მიღებული გადაწყვეტილება)

განმცხადებლის ხელმოწერა: -----

ოპერატორის ხელმოწერა:

განმცხადებლის ხელმოწერა:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის ბრძანება №01-54/ნ - ვებგვერდი, 11.06.2021წ.

დევნილ ვეტერანთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მონიტორინგის ფორმა

განაცხადის №	სახელი / გვარი	ვიზიტის თარიღი / დრო	ტელეფონი	აბონენტის №
მისამართი, ფართი – კვ.მ				
მოცემულ და წინა საცხოვრებელ მისამართზე ქირით თუ ქირის გარეშე ცხოვრების ხანგრძლიობა				

ა) ოჯახის შემადგენლობა – ყოველთვიური შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე, შემოსავლის წყარო, ადგილსამყოფელი მონიტორინგის დროს:

№	სახელი / გვარი	პირადი ნომერი	ნათესაური კავშირი	ოჯახის წევრთა ადგილსამყოფელი მონიტორინგის დროს	შემოსავლის წყარო, თანხა
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					
8.					
9.					
10.					

ბ) მისამართზე მცხოვრებ პირთა რაოდენობა, რომლებიც არ შედიან განაცხადში:

№	სახელი / გვარი	პირადი ნომერი	ნათესაური კავშირი	ოჯახის წევრთა ადგილსამყოფელი მონიტორინგის დროს
1.				
2.				
3.				

4.				
5.				

ჯგუფის წევრი: _____/სახელი, გვარი/

დამსწრე პირი: _____/სახელი, გვარი/

გ) დევნილი ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე:

სახელი / გვარი	პირადი №	ნათესაური კავშირი	ტელეფონი	საკადასტრო კოდი (არსებობის შემთხვევაში)	ფართის მესაკუთრის საცხოვრებელი მისამართი

დ) სოციალურად დაუცველი ოჯახის ინფორმაცია / ამონაწერი:

№	სახელი / გვარი	დამატებითი ინფორმაცია
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

ე) არასრულწლოვანთა რაოდენობა, სასწავლებელი (სკოლა/ბაღი)

№	სახელი / გვარი	დამატებითი ინფორმაცია
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

ვ) შშმ (I-მკვეთად, II-მნიშვნელოვნად, III-ზომიერად) ონკოლოგიური ავადმყოფი

№	სახელი / გვარი	დამატებითი ინფორმაცია
1.		
2.		
3.		
4.		

ზ) მართოხელა მშობელი, ქვრივი, მართოხელა პენსიონერი:

№	სახელი / გვარი	დამატებითი ინფორმაცია
1.		
2.		
3.		
4.		

თ) ომში დაღუპული ოჯახის წევრი, სახელმწიფო ჯილდო, იყო თუ არა დაოჯახებული, გარდაცვლილის ოჯახის წევრების საცხოვრებელი მისამართი:

№	სახელი / გვარი	დამატებითი ინფორმაცია
1.		
2.		

ი) ომის ვეტერანი – სახელმწიფო ჯილდო:

3.		
4.		

№	სახელი / გვარი	დამატებითი ინფორმაცია
1.		
2.		
3.		
4.		

ჯგუფის წევრი: _____/სახელი, გვარი/
 დამსწრე პირი: _____/სახელი, გვარი/

კ) ინფორმაცია ოჯახის უფროსის მშობლების, შვილების, დედამიწვილების შესახებ:

№	სახელი / გვარი / მამის სახელი	პირადი ნომერი	ნათესაური კავშირი	დამატებითი ინფორმაცია
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				

ლ) ინფორმაცია ოჯახის უფროსის მეუღლის მშობლების, დედამიწვილების შესახებ:

№	სახელი / გვარი / მამის სახელი	პირადი ნომერი	ნათესაური კავშირი	დამატებითი ინფორმაცია
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				

მ) ინფორმაცია ოჯახის უფროსის რძლის/სიძის მშობლების, დედამიწვილების შესახებ:

№	სახელი / გვარი / მამის სახელი	პირადი ნომერი	ნათესაური კავშირი	დამატებითი ინფორმაცია
1.				
2.				
3.				
4.				

5.				
6.				

ჯგუფის წევრი: _____/სახელი, გვარი/

დამსწრე პირი: _____/სახელი, გვარი/

ბ) ინფორმაცია გასხვისებული ქონების შესახებ: (გასხვისების თარიღი / მიზეზი / ნათესაური კავშირი მყიდველთან)

ო) მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა:

ჯგუფის წევრი: _____ /სახელი, გვარი/

დამსწრე პირი: _____ /სახელი, გვარი/

დანართი №7

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის ბრძანება №01-54/ნ - ვებგვერდი, 11.06.2021წ.

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის საორიენტაციო სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით

პარამეტრი	ერთეული	შ ე ნ ი შ ვ ნ ა		
		მინიმალური საორიენტაციო სტანდარტი ახლად აშენებული და ცარიელი შენობებისთვის	საცხოვრებელ ფართში ოთახების რაოდენობა	დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობა
საცხოვრებელი ფართი	მ ² თითოეულ ბინაში	30-დან - 40 მ ² -მდე	ერთოთახიანი ბინა	1-2 მოსახლე
		50-დან - 60მ ² -მდე	ოროთახიანი ბინა	3-4 მოსახლე
		70-დან - 80მ ² -მდე	სამოთახიანი	5-6 მოსახლე

			ბინა	
		90-დან -100 მ ² -მდე	ოთხოვნი ბინა	7-8 მოსახლე